მივლინების ანგარიში

მივლინების ადგილი	მანამა, ბაჰრეინი
მივლინების თარიღი	11-16 მარტი
მივლინების მიზანი	მონაწილეობა საპარლამენტთაშორისო კავშირის (IPU) რიგით 146-ე ასამბლეაში
ღონისძიების თემა	მშვიდობიანი თანაარსებობისა და ინკლუზიური საზოგადოებების ხელშეწყობა: შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლა
დელეგაციის შემადგენლობა	***გიორგი ვოლსკი*** - საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე; ***ნიკოლოზ სამხარაძე*** - საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე; ***ირაკლი ბროკიშვილი*** - მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციის მდივანი.
აქტივობები	2023 წლის 11-15 მარტს, ბაჰრეინის დედაქალაქ მანამაში გაიმართა საერთაშორისო საპარლამენტო კავშირის რიგით 146-ე ასამბლეა, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედმა დელეგაციამ, პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის, გიორგი ვოლსკის ხელმძღვანელობით. ღონისძიებაში 140-მდე ქვეყნის 700-მდე პარლამენტის წევრი, მათ შორის 40-მდე პარლამენტის თავმჯდომარე მონაწილეობდა. **„მშვიდობიანი თანაარსებობისა და ინკლუზიური საზოგადოებების ხელშეწყობა: შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლა“** - ამ თემის გარშემო გაიმართა მთავარი პოლიტიკური დებატები ასამბლეაზე, რომელიც 4 დღის განმავლობაში გრძელდებოდა და ქართული დელეგაციის წევრები აქტიურად იყვნენ ჩართულები განხილვებში თემის გარშემო. საქართველოს საპარლამენტო დელეგაციამ ასამბლეაზე მხარი დაუჭირა არგენტინის, ჩილეს, გერმანიის, ნიდერლანდებისა და უკრაინის საპარლამენტო დელეგაციების მიერ ინიცირებულ რეზოლუციის პროექტს, რომელიც მოუწოდებს წევრ პარლამენტებს და საერთაშორისო საზოგადოებას ავღანეთში, სირიაში, უკრაინაში, იემენში და სხვა ქვეყნებში არსებული სერიოზული ჰუმანიტარული კრიზისის შესახებ ინფორმაციის მეტად გავრცელებისკენ და შესაბამისი მოქმედებებისკენ. რეზოლუციის პროექტი ეხებოდა განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებს - ქალებს და ბავშვებს.
	ორმხრივი შეხვედრები ასამბლეის მსვლელობის პარალელურად, საქართველოს საპარლამენტო დელეგაციამ ორმხრივი შეხვედრები გამართა სხვა და სხვა პარლამენტების წარმომადგენლებთან. მათ შორის **შვედეთისა** და **ტაილანდის** პარლამენტების ვიცე-სპიკერებთან და **კანადის, ლაოსის, ფილიპინების, ინდონეზიისა** და **დიდი ბრიტანეთის** პარლამენტების საპარლამენტო კომიტეტების თავმჯდომარეებთან. შვედეთის, ბრიტანეთის და კანადის საპარლამენტო დელეგაციებთან შეხვედრებზე საუბარი შეეხო საქართველოს ნატოსა და ევროკავშირის წევრობის პერსპექტივას, ჩვენი ქვეყნის მიერ განხორციელებულ რეფორმებს და მიღწევებს ამ მიმართულებით. მიმოიხილეს საქართველოს უსაფრთხოების საკითხები და ზოგადად, რეგიონში შექმნილი რთული ვითარება, რომელიც გამოწვეულია უკრაინაში მიმდინარე რუსული აგრესიით.

	ლაოსის, ფილიპინების, ინდონეზიისა და ტაილანდის საპარლამენტო დელეგაციებთან შეხვედრებზე საუბარო შეეხო საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის საკითხს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკას. ქართულმა მხარემ ყურადღება გაამახვილა ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებების მხრივ არსებულ რთულ ვითარებაზე. მხარეებმა ისაუბრეს პარლამენტებს შორის სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებზე. ასევე, საუბარი შეეხო ქვეყნებს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობებს ეკონომიკურ, სავაჭრო, საგანმანათლებლო და კულტურული მიმართულებებით. საპარლამენტთაშორისო კავშირის მომდევნო ასამბლეას, 2023 წლის 23-27 ოქტომბერს, ანგოლას დედაქალაქი ლუანდა უმასპინძლებს.
	მოამზადა ირაკლი ბროკიშვილმა